ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** შაბათი, 6 ოქტომბერი № 1602

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе».** ტელეფონი № 372.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

კიოსკში

სურათები საქართველოს რუსეთთან შეერთების დროის საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა

ფასი 20 კ.

ჯგუფი ქართველთა მწერლებისა

სურათები, შედგენილი ტ. მომცელიძისა.—ფასი 85 კაპ..

იქვე იყიდება ყველა ქართული გამოცემანი. ლორის მელიქოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, საკუთარ შენობაში. (20—1)

1901 წლის 1-ლ აგვისტოდან ქალაქ ბუქარესტში (რუმანიაში) გამოდის ფრანგულ-რუსულ ენაზე საყოველ-კვირაო გაზეთი

„პრავოსლავნი ვასტოკ“

(„მართლ-მადიდებელი აღმოსავლეთი“)

ამ გაზეთში უმთავრესი მონაწილეობა აქვს ნ. ნ. დურნოვოს.

წლიური ფასი გაზეთისა გაგზავნით ერთი თუმანია, ნახევარი წლისა—ხუთი მან.

გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბაროთ: Bucaresti—Roumania. Strada Doamnei, 16. Redaction „L'Orient Orthodoxe“ «Православный Востокъ». (5—რ.—1)

კბილის საექიმო კაბინეტი

ელისაბედ რომანიშვილისა

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათ. და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე. ოლგინის ქუჩის დასწვრივ ვერის თავდაღმართზე, ოსიპოვის სახლი № 1

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის ავათმყოფნი 10—11.

ა. გ. ბარსუკოვი. ქალთა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.

ექ. ქალი მ. ხ. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ვ. ლ. მარკევიჩი—სალოსტაქრო $12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^{1}/_{2}$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—ქალთა სნეულებანი 5—6 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10 12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. **ტელეფონი № 274.** (წლ.)

ისტორიული თხზულება (რუსულად)

ზ. ავალიშვილისა

საქართველოს შეერთება რუსეთთან

ფასი 1 მან. 50 კაპ.

გამოცემის საწყობი „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაშია. ისყიდება იქვე და ლ ხიდდეკელთან. წიგნი შეიძლება დაიბარონ ფასის ზედ-დადებით.

ცინკოგრაფია

წიგნების გამომც. ქართველთა ამხანაგობისა.

(ვანქის დიდი ქ., № 27. ტელეფონი № 372)

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატიდან. (1000—31)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 კორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი ტელეფონი 791.

ნაფიცი ვექილის თანაშემწე

ივანე იოანესძე

ზურაბიშვილი

გადავიდა ახალს სადგომში: Елисаветинская ул. (уголъ Кирочной) № 112. (5—5)

მკურნალი-ქალი

მარიამ ბაქრაძე

იღებს ავადმყოფ ბავშვებს ყოველ დღე დილით 1-დან 3 საათამდე. ოლგინის ქუჩა, № 13. (10—8)

ექიმი

პ. მ. ელიოზიშვილი

ვიღებ ყოველ დღე ავადმყოფებს (შინაგანი და საბავშო ავადმყოფობით) დილის 11—1 და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, პავლოვსკის სახლი № 92.

კვირას, 7 ოქტომბერს, ტფილისის სათავად-აზნაურო დარბაზში დილის 10-ს საათზე, „ცისკრის“ რედაქტორის განსვენებულის ივანე კერესელიძის საფლავზე ძეგლის დადგმის შესახებ მოსალაპარაკებლად კრებაა დანიშნული. კრებაზე ყველას შეუძლიან დასწრება. (2—1)

ქუთაისში, ვ. ბეჟანეიშვილის მაღაზიაში, იყიდება გაზეთ „ცნობის ფურცლი“-ს ნომრები. ფასი თითო ნომრისა 3 კაპეიკი. დამატებით—5 კაპ.

მთავრობის განკარგულებანი

უმაღლესად დაჯილდოვებულ იქმნა ქუთაისის მაზრის სოფელ სვირის მცხოვრები მედავითნე ლუკა ჩხაიძე სოლომონ არაბიძის წყლიდან დახრჩობისაგან გადარჩენისათვის ვერცხლის მენდლით ზედ წარწერით: «დაღუპულთა დახსნისათვის“ ვლადიმერის ლენტზე.

ზუგდიდის განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე ნადვორნი სოვეტნიკი ჩაჩიბაია გადაყვანილ იქმნა წალენჯიხის გამომძიებლის თანამდებობაზე.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

4 ოქტომბერი

ნოვგოროდი. მაზრის საზნაურო კრებამ გადასწყვიტა ნოვგოროდში აზნაურთა შვილებისათვის პანსიონ-თავშესაფარის გახსნა. ყმაწვილებს უნდა ასწავლონ, სხვათა შორის, დურგლობა და მჭედლობა, რაც ასე საჭიროა მეურნეობისათვის.

ნიჟნი-ნოვგოროდი სასამართლო პალატაში ინჟენერ ალექსანდროვის, შნაკსენზურგის, იჯარადარ პეტრე ვოროვინისა და სხვა საქმის გარჩევა დაიწყეს.

პერმში დღეს ხუთი გრადუსი ყინვაა. კამაზე ყინული გაჩნდა.

ყაზანი. ვოლგის, მოლოგის, შენსკის და კამის სათავეში წყალმა იკლო. სხვაგან შეუცვლელია. რიბინსკ-ნიჟნაში წყლის ტემპერატურა $3^{1}/_{2}^{0}$, ნიჟნი-კამის შესართავთან 4^{0}, კამაში ოხას ქვემოთ და აგრეთვე ბელაისა და ვიატკაში 2^{0}.

კიევი. კიევის საიდუმლო პოლიციის გამგემ ჩუდნოვმა ლონდონში აღმოაჩინა ქარხანა, სადაც რუსეთის ყალბ მარკებსა და სამ მანეთიანებს აკეთებენ. ამ მარკებს ავრცელებდნენ სამხრეთ-დასავლეთ მხარეში. მარკები მეტად ხელოვნურად არის გაკეთებული.

პოლიციამ შეიპყრო თვრამეტი წლის გლეხი კაპრანოვი, რომელიც თურმე უხვდებოდა ქალებს და დანასა სცემდა ყელში, ნიკაპსა და ცხვირში. შეპყრობილმა განაცხადა, რომ იგი ამგვარ ბოროტ-მოქმედებაში სიამოვნებას ჰპოვებდა. ეტყობა, ჭკუაზე შეშლილი უნდა იყოს.

ბელგრადი. საერო კრება ხვალ შესდგება. კრებები გაიხსნება კვირას სეფე-სიტყვით.

პეტერბურგი. 4 ოქტომბერს მათი უდიდებულესობის დარაჯმა და ყაზახთა ლეიბ-გვარდიის პოლკმა იდღესასწაულეს პოლკის დღესასწაული.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. ამ დღეებში ათი წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც ირლანდიის დიდებული მოღვაწე პარნელი გარდაიცვალა. ამ დღეს ქალ. დუბლინში ხალხმა დიდი მანიფესტაცია გამართა. ირლანდიის ყოველ-კუთხიდან დეპუტაციები მოვიდა და დიდებულის პროცესსით პარნელის სასაფლაოსაკენ გაემართა. პროცესსიას დიდ-ძალი ხალხი მისდევდა, 30 ხორო მუზიკას უკრავდა. დეპუტაციებმა პარნელის საფლავი გვირგვინებით შეამკეს.

✡ ინგლისის მთავრობა ჯარის-კაცებს მეტეხუდ ნაწილად ირლანდიაში აგროვებს ხოლმე. ირლანდიელ პატრიოტებს მეტად გული სწყდებოდათ ამაზე. «თქვენი რაა, რომ ამშვენებთ და თავს იკლავთ თქვენი დამღუპველი ინგლისისთვისაო,—ყოველთვის ეუბნებოდნენ შეგნებული ირლანდიელები თავიანთ ხალხს. ინგლისის მთავრობამ აქამდე 35,000 ირლანდიელი გაგზავნა სამხრეთ აფრიკაში ბურებთან საომრად. ამაზე ხომ სულ თავს იკლავდნენ ირლანდიელი პატრიოტები და გულ მოსულები ჰკიცხავდნენ თავიანთ უზრდელ ხალხს: როგორ არ გესმით, რომ ჩვენც და ბურებიც ერთ ტაფაში ვიწვით, ერთ მტერს ვებრძვითო. ეს ორი წელიწადია, რაც ირლანდიელი პატრიოტები ასე აგონებენ თავიანთ ხალხს და როგორც ეხლა გაზეთები იუწყებიან, იმათ მეცადინეობას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ირლანდიელებს გადაჭრით გამოუცხადებიათ მთავრობისათვის, სამხრეთ აფრიკაში აღარ წავალთ საომრადაო. ირლანდიელ მოღვაწე ქალს მოდ გონს უთქვამს «ფიგარო»-ს თანამშრომლისათვის:

«აგერ მესამე წელიწადია, ჩვენ ხალხს ვაგონებ: დიდ უსინიდისობას ჩადის, ვინც ინგლისის ჯარში შედის და თავის ვაჟკაცობითა და ჯანით ინგლისს ეხმარება და გმირი ბურების დამონავებას ხელს უწყობს. ჩემმა მეცადინეობამ გასჭრა. ბედნიერი ვარ სწორედ. სხვებიც ბევრნი მშველოდნენ ამ საქმეში: ბევრი წერილი გადავსწერეთ ამ საგანზე და ათასობით გავავრცელეთ ხალხში. ყველაზე მხნედ კი ამ საქმეს არტურ გრიფიტის გაზეთი «უნიტედ ირიშმან»-ი ემსახურებოდა. ამ გაზეთს ყოველნაირად დევნიდნენ, მაინც გული ვერ გაუტეხეს და თავის საქმეს მედგრად ასრულებდა. მილიონი ბროშურა გამოვეცით ამ საგანზე და ირლანდიელებს მათი ზნეობრივი მოვალეობა გავახსენეთ. ხალხმაც შეისმინა ჩვენი ლაპარაკი და ჩაგონება და აი ამიტომაც ინგლისის მთავრობა ირლანდიაში ვეღარა შოულობს ჯარის კაცებს».

✡ სამხრეთ-აფრიკიდან დაბრუნებულ ჯარის კაცებს ქალ. ლივერპულში მედლები დაურიგეს. ამ ამბავს ლორდ რობერტსიც დაესწრო. ფელდმარშალმა სამხრეთ-აფრიკის ომის თაობაზე სიტყვა წარმოსთქვა. ლორდ რობერტსი ამტკიცებდა: მთავრობას სულ ტყუილად უჩივიან, თავისი საქმე მხნედ მიჰყავს, მაგრამ რა ჰქნას: ომი სამხრეთ-აფრიკაში მეტად მძიმე საქმეაო. მთავრობა ცდილობს, რომ ეს ომი რაც შეიძლება მალე დასრულდეს, ამიტომ ლორდ კიტჩენერის ყოველ თხოვნას დაუყოვნებლივ ასრულებს. მთავრობა ყველაფერში ენდობა ლორდ კიტჩენერს. დასასრულ, რობერტსმა სთქვა: ინგლისის ერმა ეხლაც ისეთი მოთმინება და სულის ძლიერება უნდა გამოიჩინოს, როგორიც 1899 წელს დეკემბერში გამოიჩინა.

✡ გაზეთები იუწყებიან: კოლონიების სამინისტრომ გამოაცხადა: კუნძულ მალტაზე ოცი წლის განმავლობაში კიდევ იტალიური ენა დარჩება სახელმწიფო ენადაო.

ეტყობა, ბ. ჩემბერლენს მალტელების და ოპოზიციის მუქარისა შეეშინებია და თავის განკარგულების შესრულებას ვადა გადაუდვია.

გერმანია. პრუსიის მეფე ვილჰელმ II და ბერლინის ქალაქის საბჭო, როგორც ვიცით, გადაკიდებული არიან. ბერლინის ქალაქის თავი კირშნერი ამას წინად არც კი მიუღია ვილჰელმს: არა მცალიანო. ოპოზიციის გაზეთები მეტად გაკვირდნენ ამაზე: «ნეტა ისეთი რა ცალი ჰქონდა იმპერატორსა, რომ ბერლინის წარმომადგენელი ვერ მიიღოო. ბარემ თქვა

პირდაპირ, რომ გამწყრალები ვართ საბჭოზე და იმიტომ არ მივიღეთ ქალაქის თავიო». ეხლა გაზეთები იუწყებიან: იმპერატორს, ცოტა არ იყოს, გული მოულბა და ქალაქის თავი კირშნერი მიიღო აუდიენციაზეო.

აუდიენციის დროს კაუფმანის მეორედ არჩევაზედაც ჩამოვარდნილა ლაპარაკი, იმპერატორს კაუფმანის წარსული სამხედრო სამსახური გაუხსენებია და უთქვამს: კაუფმანის საქმე მე თითონ გავსინჯე და დავრწმუნდი, რომ ოფიცრების სასამართლოს კაუფმანი სამსახურიდან დაუთხოვნია. მე თითონ მახსოვს ეს საქმე, გვარდიის პირველი პოლკის უფროსად ვიყავი, კაუფმანიც ამ პოლკში ირიცხებოდა. მაგონდება, რომ კაუფმანი მეტად რადიკალურ აზრებს ქადაგებდა და ერთ ფურცელსა სცემდა, სახელად: «შავი—წითელი—ოქროსფერი». განა ამისთანა კაცი ღირსია ქალაქის თავის თანაშემწედ იყოს არჩეული.

კირშნერს უპასუხნია: ეს ამბავი ოცის წლის წინად მოხდა, კაუფმანი მაშინ სულ ახალგაზრდა კაცი იყო და მარტო დვლდ შტეკერს ეწინააღმდეგებოდა და ჰკიცხავდა. პოლიციის მოხელეებს სწორე ცნობები ვერ შეეკრიბათ და კაუფმანის ნალაპარაკევი სწორედ არ გადაეცათ ოფიცრებისათვის. ფურცელ «შავი—წითელი—ოქროს ფერი»-ს საზოგადოება სცემდა და კაუფმანს, იქნება, წაკითხული არც კი ჰქონდესო. ამას გარდა იმპერატორმა ვილჰელმ II ოფიცრების დადგენილება კაუფმანის საქმეზე უსამართლოდ სცნა და არც დაამტკიცაო.

იმპერატორს უპასუხნია: მე მოვითხოვ ამ საქმეს და კიდევ გავსინჯავო.

ავსტრ-უნგრეთი. თქვენი არ ვიცი და მე კი მიკვირს და გამკვირებია, ასე რად უზივიან ევროპაში ბერებს და მათ კრებულებს. სწორეთ ჟამივით სძულთ ყველას. საფრანგეთიდან განდევნილმა ბერებმა აღარ იციან, რომელ ქვეყანას შეაფარონ თავი. სადაც კი გადასახლებას მოინდომებენ, ყველგან ხალხიცა და მთავრობაც ერთხმად გაიძახის: ბერებს ჩვენში დასახლება აუკრძალოთო.

ავსტრიაშიც ხალხი თხოულობს: არამცა და არამც არ შემოუშვათ ჩვენს ქვეყანაში ბერებიო. გერმანელ საერო დასს ქალ. რადნესბურგში კრება მოუხდენია. ამ კრებაზე დოქტორ ცანგერს ულაპარაკნია. ცანგერს უთქვამს:

«არას დროს ნება არ უნდა მივცეთ ფრანგ ბერებს და ნამეტნავად იეზუიტებს, რომ ჩვენში დასახლდნენ. ბერებზე დიდი მტერი ჩვენ არა გვყავს. რომი ყოველთვის გვტანჯავდა და ეხლაც ყოველდღე ახალ-ახალ დარდს გვიჩენს. იმპერატორს ჰენრიხ IV და იოსებ II-ს რომმა და კატოლიკეებმა სწორედ გული მოუკლეს თავიანთ წინააღმდეგობით. იმ იმპერატორებმა ბერების ჯავრი თან ჩაიტანეს საფლავში. ბისმარკი ყოველგან გამარჯვებული გამოდიოდა, სანამ იყო მტერი მუსრა, არ შეჭამა ჯავრი მისი; კლერიკალებმა კი ბისმარკიც დაამარცხეს. გერმანელი ერი ამაყია და თავისუფალი, ამიტომ რომს სასიკვდილოდ სძულს... ავსტრიაში გერმანელები კათოლიკეთა სჯულს თავს ანებებენ და ათასობით პროტესტანტობას დებულობენ. ჩვენ კატოლიკე სამღვდელოებას თითონ ვერა გაუწყვია რა ხალხთან, და ამიტომ გაიძვერა იეზუიტებს იწვევენ საშველად. იეზუიტების კრებული პროტესტანტის სარწმუნოების დასაღუპავად დაარსებული. ამ კრებულმა ასტეხა 30 წლის ომი, დაღუპა იტალია და ესპანია და დაღუპვის პირას მიიყვანა საფრანგეთი (ხანგრძლივი ძლიერი ტაშის ცემა). ეხლა სხვა ქვეყნებიდან გამოდევნეს და ჩვენ ქვეყანაში აპირებენ შემოსვლას. თუმცა ჩვენი ქვეყანა ბევრში სტყუის, მაინც ისეთი ცოდვა არა ჩაუდენია, რომ ბერები შემოუშონ აქა. აფსუსია ჩვენი ქვეყანა, რომ ჟამი ბერები თავზე დავახვიოთ» (ძლიერი ტაშის ცემა).

კრებამ ერთხმად დაადგინა: მთავრობამ ბერებს ჩვენში დასახლება აუკრძალოსო.

სამხრეთ-აფრიკა. ამ ჟამად მთელ კაპის კოლონიაში «გაძლიერებული დაცვის» წესებია შემოღებული; ამისთანა სასტიკ წესებს მარტო იმ დროს დააწესებენ ხოლმე, როცა ქალაქს, ან ან ქვეყანას მტრის ჯარი მიადგება და ალყას შემოარტყამს. სხვა ქვეყნებში ასეთი წესები მაგდენად არავის გააკვირვებს, რადგანაც იქ სხვა დროსაც ისეთი სასტიკი წესებია შემოღებული, რომ კაცს ვეღარ გაუგია, ჩვეულებრივი წესი სჯობია, თუ «გაძლიერებული დაცვის» წესი. სულ სხვაა კაპის კოლონია და საზოგადოთ ინგლისის იმპერია. იქ ისეთი დიდი თავისუფლება აქვს ყოველ მოქალაქეს, ყველა იმდენად შეჩვეულია თავისუფალ წესებს, რომ თუ მთავრობამ გაბედა და თავისუფლება თუნდ ცოტათი შეზღუდა, მაშინვე მთელი ქვეყანა აღელდება, აშფოთდება ხოლმე. ეხლა კაპის კოლონიაშიც ნამდვილად ქვეყანა ქვეყნად იქცა. კაპელები მოთმინებიდან გამოიყვანა ამ სასტიკმა წესებმა და თითქმის მთელი კოლონია აიშალა, აუჯანყდა ინგლისს.

კაპელებს გარდა, ინგლისის ოპოზიციასაც ჯავრი მოსდის მთავრობაზე და აღარ იცის, როგორ გამოთქვას თავისი გულის წყრომა. ლიბერალური გაზეთი «დეილი ნიუსი» სწერს:

«ნეტა რა მიზეზით შემოიღეს ეს დამღუპველი წესები? რასაკვირველია, მიზეზის დასახელება ადვილია. კონსერვატიული გაზეთები ამბობენ, ხალხი ბურებს ჰშველოდა და იარაღსა და სამხედრო მასალას უზიდავდაო. დეე, ნამდვილად ასეც იყვეს. განა უსათუოდ სასტიკი წესები უნდა შემოეღოთ? საკმაო იყო, ოროდე ნავთ-სადგურისთვის ყურადღება მიექციათ და იარაღს ვეღარავინ შეიტანდა. ეს წესები სარგებლობას ბევრს არას მოიტანს და ხალხს კი ძლიერ გააბოროტებს. მოხელეებსაც მეტი არ უნდათ: ეხლა ისე თავ-ნებად, ისე უსამართლოდ მოიქცევიან, რომ ყველას თავს შეაძულებენ და ბედს აწყევლინებენ. განა ისე რა გაუჭირდა ჩვენ მთავრობას, რომ ეს ოხერი წესები შემოიღო? ეს მხეცური წესები ყოველთვის იმის ნიშანია, ყოველთვის იმის მამასწავებელია, რომ მთავრობა თავის სისუსტეს გრძნობს, გამარჯვების იმედი დაჰკარგვია და აღარ იცის, როგორ მოიქცეს».

ახალი ამბავი

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ მიწად-მოქმედების მინისტრი ბ. **ერმოლოვი** სოჩიდან პეტერბურგს წავიდაო.

✦ ტფილისის გუბერნატორის თავმჯდომარეობით შესდგა სხდომა გუბერნიის სამხედრო საქმეთა საკრებულოსი. ამ სხდომაზედ საკრებულო შეუდგა შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ პროექტის განხილვას, რომელიც ეხება სათადარიგო ჯარის კაცად ყოფნის ვადის შეცვლას და სამხედრო ბეგარის სხვა კითხვებსაც.

✦ თანახმად ბ. პალობას თხოვნისა, ამ ახლო მომავალში საბჭოს წარედგინება განსახილველად მოხსენება ტფილისში საშუალო **ელექტროტეხნიურ სასწავლებლის** დაარსებაზე.

✦ 28 ოქტომბერს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში, მოხდება **საზოგადო კრება** სახალხო კითხვათა ტფ. კომისიის წევრებისა, რომელზედაც, ანგარიშის განხილვის გარდა, მოხდება არჩევნები კომისიის თავმჯდომარისა, ხაზინადრისა და მდივნისა.

✦ იუსტიციის სამინისტროს გამოუგზავნია კავკასიაში თავისი მოხელე კაზარინი, რომლისთვისაც მიუნდვია დაახლოვებით გაიცნოს **ადგილობრივი საპატიმროები** და მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებელი ღონისძიებანი შეიმუშავოს.

✦ გუშინ ღამ, ამიერ კავკასიის რკინის გზაზე, სადგურ ნიგოითისა და ლანჩხუთის შუა ვილაც ბოროტ-განმზრახველნი თავს **დაესხნენ** კუპეში მჯდომ «არტელშჩიკს“, მძიმედ დასჭრეს იგი ტყვიით, წაართვეს 2500 მ. და მატარებლიდან გადახტნენ.

✦ სადგურ ტატლუდან (ამიერ კავკასიის რკინის გზა) გვწერენ, რომ 29 სექტემბერს აქსტაფასა და ტატლუს შუა ვილაც **ბოროტ-განმზრახველთ** გაუტეხიათ საქონლის მატარებლის (162) ორი ვაგონი და წაუღიათ ერთი ფუთი ბათუმის ჩაი.

✦ სადგურ ლანჩხუთიდან გვატყობინებენ, რომ 4 ოქტომბერს ს ს. ჯუმათსა და ლანჩხუთს შუა ვილაც **ბოროტ-განმზრახველთ** გამოუნგრევიათ საქონლის მატარებლის (№ 162) ვაგონის კედელი და წაუღიათ ერთი ფუთი ლურსმანი.

✦ **საოჯახო მრეწველობის** კომიტეტმა სთხოვა ყველას, ვისაც კი რითიმე აინტერესებს მრეწველობის ხსენებულ დარგის სიკეთე, დაეხმარონ 9 ოქტომბრისათვის განზრახულ კრებას იმ კითხვების გამორკვევაში, რომელნიც ეხებიან ამ მრეწველობას და მის განვითარებას.

✦ 4 ოქტომბერს მერძევეთა და საქონლის მომშენებელთა კრების სხდომაზედ ან. ა. ქალანთარმა წაიკითხა საკუთარი გამოკვლევა, თუ როგორ ჩნდება მაწონში ერთგვარი მწერი, ეგრედ წოდებული „სოკო“ და რა საშუალება უნდა იქნეს მიღებული, რომ ეს მავნებელი სენი არ უჩნდებოდეს მაწონს. როგორც გუშინაც გვქონდა მოხსენებული საყურადღებო მოხსენება წარუდგინა კრებას ქალაქის საქიმიო ლაბორატორიის გამგემ ბ-ნმა ალიბეგოვმა იმის შესახებ, თუ რა ნაირად დამზადებულს რძეს ხმარობს ტფილისის მცხოვრებნი და რა ღონისძიებაა საჭირო ამ საქმის გასაუმჯობესებლად. რადგანაც ქალაქში რძე დიდძალი საღდება, მის კეთებას და გასაღებას ეტანება ყოველი კაცი, მედროგე, მეწაღე, მეეტლე და სხვანი მრავალნი; ძროხა ყველასა ჰყავს და რადგანაც იგინი რძის გაყიდვაში და ორიოდე გროშის გამორჩენაში დაინტერესებულნი არიან, ამიტომ როგორც მოხვდებათ, რძეს ისე ამზადებენ, რის გამოც მეტად უსუფთაო და ხშირად სხვა-და-სხვა მავნებელ ელემენტით შეზავებულ რძეს ასაღებენ. ბ-ნ ალიბეგოვის აზრით, რძე კარგის თვისებისა შეიძლება მაშინ იქნეს, თუ მისი გამკეთებელი პირდაპირ მხმარებელზე გაჰყიდის. ამიტომ, მომხსენებელის აზრით, უკეთესი იქნება, შესდგეს ერთი ამხანაგობა ყველა მერძევეებისა, რომელთაც ისე უნდა მოაწყონ საქმე, რომ რძის კეთებაც გაუმჯობესებულ ნიადაგზე დააყენონ და მის მომხმარებლებზე მიწოდებაც.

ზოგიერთნი დამსწრენი ამ მოსაზრებას წინააღმდეგნი გაუხდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ შეუძლებელია ასეთი საზოგადოების განხორციელებაო. ე. ო. იოსელიანმა ის აზრი გამოსთქვა: რადგანაც ასეთი ამხანაგობის შედგენა ძნელია, ამიტომ უმჯობესი იქნება ქალაქის ზოგიერთ ნაწილებში დაარსებულ იქმნეს საზოგადო პავილიონები, საიდანაც ექიმების შემოწმების შემდეგ გამოჰქონდეთ რძე ხალხზე გასასყიდადაო. კარგა ხნის კამათის შემდეგ კრებამ გამოსთქვა სურვილი, თუ შესაძლებელი იქნება, დაარსდეს ისეთი ამხანაგობა, რომელიც ხელს შეუწყობს მომხმარებლებზე კარგის თვისების რძის გასაღების საქმეს.

✦ გუშინ, 5 ოქტომბერს, შესდგა კრება ქალაქის **საიუბილეო კომისიისა** იმის გამოსარკვევად, თუ რამდენი დაეხარჯა ქალაქს წარსულ დღესასწაულებზე. დანამდვილებით ჯერ ვერ გამოარკვიეს ეს ხარჯი, მაგრამ დაახლოვებით იგი 26-ათას მანეთზე მეტია.

✦ მკითხველებმა იციან, რომ ქალაქის **კასის გატეხის გამო** დაპატიმრებული იყვნენ ტიხონ ციბალენკო და ბუღალტერის თანაშემწე იახშიბეგოვი. გუშინ ეს ორივე პირი გამომძიებელმა გაანთავისუფლა, რადგანაც მათი დანაშაულობის საბუთი არ აღმოჩენილა.

✦ ტფილისის **სასწავლებელთა გამგეკომისიამ** 4 ოქტომბრის სხდომაზე დაამტკიცა მომავალ 1902 წლის ხარჯთაღრიცხვა ქალაქის საპროფესიონალო სასწავლებლისა. ამ ხარჯ-აღრიცხვით სასწავლებლისათვის საჭირო იქმნება სულ 7764 მანეთი და მასალებზე 500 მან. სხვა საქმეების განხილვა კომისიამ შემდეგი სხდომისათვის გადასდვა.

✦ განსვენებული **ზუბალაშვილის თავშესაფარის** ამშენებელ კომისიას დღეს სხდომა ექნება ხსენებულ თავშესაფარის სადგომის პროექტის საბოლოო განსახილველად. აზრადა აქვთ ახლო მომავალში შეუდგნენ შენობას.

✦ ამ ჟამად ტფილისში იმყოფება რუსეთის **სამთა-მადნო საზოგადოების** თავმჯდომარე ბ. მეცი. მიზანი მისი აქ ყოფნისა ის არის, რომ გაავრცელოს ხსენებულ საზოგადოების მოქმედება კავკასიაზედაც.

✦ **ბაკურიანის რკინის გზის შტოს** კეთება დასრულდა. „კავკაზ“-ის სიტყვით, 7 ოქტომბერს ბორჯომს გაიგზავნება ინჟ. დომბროვსკი, რომელმაც უნდა შეამოწმოს და მიიღოს ეს შტო.

✦ დღეს, 6 ოქტომბერს, სახალხო თეატრში, ავჭალის ქუჩაზე, გაიმართება ქართული **წარმოდგენა**. წარმოადგენენ აზიანის პიესას „ფული და ხარისხი“.

✦ ყარაიაზის სამეურ-ნეო საცდელ სადგურთან გაიხსნა 4 ვაკანსია ბამბის მოყვანის „პრაქტიკანტისა“. პრაქტიკანტობისათვის საჭიროა საშუალო სკოლის დიპლომი; ჯამაგირი ექმნება 600 მანეთი, ორის წლის სამსახურის შემდეგ კი უკეთესს თანამდებობას მიიღებს.

✦ აქამდე ტფილისის **ქალაქის სასწავლებლებ** შორის არ გაუნაწილებიათ ადგილობრივი ენების მასწავლებელნი. სამღვთო სჯულის გაკვეთილებიც ამავე მდგომარეობაშია და დღეს კი 6 ოქტომბერია.

✦ გუშინ გამომძიებელმა ჩვენება ჩამოართვა ქალაქის უფროსს ბუხალტერს ბ. ერმიშევს ყოფილ აგენტების—კუზანოვისა და ხერუდინოვის საქმის გამო. როგორც მკითხველებმა იციან, ამ პირთ ქალაქის **ფულების გაფლანგვა** ედებათ ბრალად.

✦ გუშინ ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე გამგეობის წევრების თ. **ჩერქეზიშვილისა და ხოსროევისა**, რომელთაც ბ. ნერინგი ცილის წამებას უჩიოდა. მომჩივანი არ დასწრებია საქმის გარჩევას. სასამართლომ განიხილა საქმე, მაგრამ რეზოლიუციის გამოცხადება შემდეგისათვის გადასდო.

✦ ტფ. საქალაქო სანიტარულ ინსპექციის ცნობებით, სექტემბერში ქალაქში სულ 46 კაცი გახდა ავად სხვა-და-სხვა **გადამდებ სენით**; მათგან: ქუნთრუშით—24, ყვავილით—8, დიფტერიტით—6, ხუნაგითა და წითელათი—სამ-სამი, განმეორებულის ხუნაგითა და ყივანა-ხველით—თითო-თითო.

✦ ტფილისის გუბერნიაში ამ ჟამად სამ ადგილას მძვინვარებს **საქონლის ჭირი**: ბორჩალოს მაზრის სოფელ ავლავარში, დუშეთის მაზრის სოფლებ დოვეთსა და ზიგნაკორში და ტფილისის მაზრის—წყნეთში.

✦ 1903 წელს პეტერბურგში განზრახვა აქვთ მოახდინონ **სახელოსნო კრება**, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს ხელოსნობის საჭიროებანი და შეიმუშაოს ღონისძიებანი ხელოსნობის საქმის გასაუმჯობესებლად.

✦ ვარშავის გენერალ-გუბერნატორს **უგან. თავ. იმერეთინსკის** დიდი მამული და ფული დარჩენია. „ჩერნომ. ვესტნიკ“-ის სიტყვით, იმერეთინსკის ნათესავთ აქედან ნ. ქვარიანი გაუგზავნიათ ვარშავაში თავის მემკვიდრეობის უფლების გამოსაცხადებლად.

✦ გუშინ-წინ, 4 ოქტომბერს, ტფილისში **ჩამოვიდა** პეტერბურგიდან ფინანსთა სამინისტროს მოხელე სტატსკი-სოვეტნიკი იაკ. ევგ. ჟუკოვსკი.

✦ ქუთაისის ვიცე გუბერნატორი ალ. ა. კალაჩევი 4 ოქტომბერს ტფილისიდან **წავიდა** ქუთაისში.

✦ ტფილისის **სამოსამართლო პალატაში** დღეს, 6 ოქტომბერს, სხვათა შორის, განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები: ალექსი ტაბატაძისა, რომელსაც სიყალ-

ბის ჩადენა ბრალდება, ვლადიმერ ქათამაძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-995 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა ბრალდება, ბენედიქტე ჩარკვიანისა და სინო ბურკაძისა, რომელთაც სასჯელთა დებულების მე-1651 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობათა ჩადენა ბრალდებათ.

◆ გაზეთ „პეტერბურგსკია ვედომოსტ"-ის 30 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა პირველი **საყურადღებო წერილი** ალ. კახისა „კავკასიის ადმინისტრაციაზე".

◆ ტფილისის ქალაქის თავმა სთხოვა ბ. გუბერნატორს საგანგებო კომისიის დანიშვნა **ციციანთ მთის დასათვალიერებლად.**

◆ გ. ბ. შიპალოვისას (პოლიციის მესამე ნაწილი) ვიღაც კ-მ მოჰპარა ორი ოქროს საათი. ქურდი შეიპყრეს სწორედ იმ დროს, როცა ჯარის-კაცის ტანისამოსში გამოწყობილი სამხედრო მატარებლით ბათუმისაკენ აპირებდა გამგზავრებას.

სიმინდის ჩრჩილი ქუთაისის გუბერნიაში და მასთან ბრძოლა

უკანასკნელ დროს ქუთაისის გუბერნიაში სიმინდის მარცვალს აფუჭებს ერთგვარი მწერი ეგრედ წოდებული „პურის ჩრჩილი". ეს მწერი კარგა ხანია ცნობილია სხვა ქვეყნებში და კავკასიაშიაც. ეს მწერი განსაკუთრებით ვრცელდება ნესტიანსა და თბილ-ზამთრიან წლებში. მარცვალში ზის პატარა ჭია, რომელიც სჭამს მარცვლის გულს; გაზაფხულზე ჭია გადაიქცევა პეპლად, გახვრეტს მარცვალს და მიფრინავს. სანამ გაფრინდებოდეს, პეპელა კვერცხებს სდებს სიმინდის მარცვალზე; კვერცხიდან გამოდის ჭია, რომელიც მარცვალში შედის და შემდეგ, ენკენისთვეში, ისევ პეპლად იქცევა.

ამ მწერთან საბრძოლველად მიღებულ უნდა იქმნას შემდეგი საშუალებანი:

1) პირველი პეპლები რომ გამოჩნდებიან, მაშინვე უნდა გაასცხელონ ტაროები, რათა დაჰხოცონ კვერცხები, რომელთაც ჭია სდებს. თუ მარცვალში ჭია უკვე გაჩნდა, ტაროებს მაინც უნდა გაცხელება, რათა შეჩერებულ იქმნას გულის გაფუჭება; ჭიანი მარცვალი შეიძლება ფრინველს ან პირუტყვს შეაჭამონ. ტაროების გაცხელება ასე შეიძლება: უნდა ამოითხაროს ორმო, შიგ ცეცხლი გაჩაღდეს და ტაროები ზეიდან უნდა დაიწყოს ლასტებზე. დასათესად გამზადებულ მარცვლის გაცხელება არ შეიძლება; თესლისთვის უნდა საგანგებოთ იქმნას არჩეული გაუფუჭებელი მარცვალი.

2) კარგი მარცვლის გამორჩევა შეიძლება გაცხრილვით მარცვალი უნდა გაიცხრილოს დათესვის დაწყებამდე და ამასთანავე მანამდე, სანამ პეპლა გამოფრინდება მარცვლიდან, რადგანაც გულშეჭმული მარცვალი ვერ გაიხარებს. ამგვარადვე უნდა გამოირჩიოს კარგი მარცვალი სიმინდის დაცეხვის დროს, ფქვილის დასამზადებლად. გაცხრილვის შემდეგ გაფუჭებული მარცვალი ან მაშინვე უნდა შეაჭამონ ფრინველსა და პირუტყვს, ან უნდა ძალიან გაასცხელონ ჭიის მოსაკლავად.

სიმინდის თესვის დროს, არჩეული მარცვალი უნდა დაითესოს უფრო ღრმად, ვიდრე ჩვეულებრივად ითესება, ესე იგი $1^1/_2$ ან 2 გოჯზე, რათა მიწიდან არ ამოვიდეს ის მწერი, რომელიც შესაძლებელია რომელსამე მარცვალს ჩაჰყვა.

რამდენად ბეჯითად აასრულებენ მეურნენი ყოველივე დარიგებას, იმდენად ნაკლები იქნება ამ მწერის მიერ მოტანილი ვნება.

პრესსა

გაზ. „ნოვოსტი" დიდ საყვედურსა და გულის-წყრომას უცხადებს რუსეთის საზოგადოებას. ყოველ შემდგომაზე ჩვენი საზოგადოება და ჟურნალ-გაზეთობა ხმამაღლა ჩივიან—სასწავლებლები ცოტა გვაქვსო და ასი-ათასი ბავში სკოლის გარედ რჩებაო; მაგრამ, გაივლის თუ არა სექტემბერი, ყველა ხმას იკმენდს და გაჩუმებულია შემდეგ შემდგომამდე; იწყება თეატრის, ოპერის და კონცერტის სეზონი, გაზეთები სწერენ მათზე და სხვა საგნებზე ძრიელ ბევრს, ხოლო განათლების საქმეზე შემოდგომამდე თითქმის კრინტსაც არ დასძრავენო.

> „რამდენი ფული, რამდენი აუარებელი ფული იხარჯება ერთ შემოდგომიდან მეორემდე! ამ ფულიდან მხოლოდ $10^0/_0$ რომ გადაიდვას სკოლებისა, გიმნაზიების და უნივერსიტეტის დასაარსებლად, ათი-ხუთმეტი წლის შემდეგ მთელი რუსეთი მოიფინებოდა სასწავლებლებით, გაუნათლებელი და წერა-კითხვის უცოდინარი კაცი ხილადაც არ დარჩებოდა, მაგრამ ჩვენს საზოგადოებას საქმისთვის ფული არ მოეძებნება, დროს გატარებისა და სისაძაგლისათვის-კი—ბევრი. ჩვენ გვაქვს ფული, როდესაც უცხოელ „გამოჩენილ მომღერალსა ან მოცეკვარს ქალს" 30.40 ათასი მანათის ღირებულობის სამკაული უნდა მივართვათ, მაგრამ როდესაც სკოლაა გასახსნელი, მაშინ გროშსაც ვერავინ დაგვტყუებს. სკოლების დაარსება—მთავრობის საქმეა, ვიძახით ჩვენ, ჩვენ-კი... ჩვენ იმის ცდაში უნდა ვიყოთ, რომ არ შევრცხვეთ და ვინმე ოტელლოს ახალი სამკაული დროზე მივართვათ«...
>
> «დროა შევიგნოთ, რომ საერო განათლების საქმე მარტო მთავრობის საქმე-კი არ არის, არამედ საზოგადოებისაც, მთავრობამ ყური უგდოს, როგორ და რას ასწავლიან, ჩვენ-კი, განათლებულმა და მდიდარმა ნაწილმა, უნდა დავიარსოთ სკოლები და სასწავლებლები, თორემ უვიცობა მეტად საშიშია მთელის ჩვენის სახელმწიფოსა და მომავალისათვის"!

⁂

საქალაქო თვით-მმართველობის რეფორმის მოლოდინში გაზეთები გაცხარებით სჯიან ამ საქმის ამა თუ იმ მხარეების შესახებ. სხვათა შორის, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ არჩევნების საქმეს. ყველა წინააღმდეგია, რომ ქალაქის თავის არჩევანი იქმნას მოსპობილი და ის ინიშნებოდეს ადმინისტრაციისაგან. „პეტერბ. ვედომ". ამბობენ, რომ ქალაქის თავის დანიშვნა ბიუროკრატიული ღონისძიება იქმნება, რომელიც დიდ ვნებას მოუტანს თვით მმართველობის საქმესაო. გაზეთის აზრით,

> «მოხელე, რომელიც ქალაქის თავად დაინიშნება მთავრობისაგან, ჯეროვან ყურადღებას არ მიაქცევს საბჭოს სურვილსა და აზრს; მას არ შეუძლია აგრეთვე გულდასმით შეისწავლოს და გაიცნოს ადგილობრივი საჭიროებანი: მისთვის ყოველიფერზე უფრო საყურადღებო უფროსთა სურვილი და აზრი იქნება, აქედან უთუოდ წარმოსდგება უთანხმოება და წინააღმდეგობა მისსა და საბჭოს შუა. მოხელე-ქალაქის თავი ყოველთვის თავისას გაიტანს და საბჭო სრულიად დაჰკარგავს მნიშვნელობას, მაშინ ხმოსნობას არცერთი რიგიანი საზოგადო მოღვაწე არ იკისრებს, ხოლო ვინც იკისრებს, ის საზოგადო საქმეს უგულოდ, ფორმალურად მოეკიდება, ყოველ ამის შედეგი იქნება საქალაქო საქმეთა შეჩერება და წახდენა. უბედურება ის იქნება, რომ რაც უფრო კარგი საბჭო იქნება, რაც უფრო შეგნებული ხმოსნები იქნებიან, მით უფრო გამწვავდება ბრძოლა საბჭოსა და ქალაქის თავის შორის. თუ საბჭო არ ენდობა დანიშნულ ქალაქის თავს, ის ეცდება, რაც შეიძლება, ნაკლები ფულის დახარჯვის ნება მისცეს მას, შეუმციროს ხარჯთ-აღრიცხვა და ამით დააბრკოლოს საქმეები. საბჭო უთუოდ ასე მოიქცევა, რადგან ნება არ ექნება დანიშნული ქალაქის თავი გამოცვალოს, ხოლო მოხელეს, რომელსაც ნაკლებ ენდობა, ბევრის დახარჯვის ნებას ვერ მისცემს"...

ქალაქის თავი ისედაც დამოკიდებულია ადმინისტრაციისაგან; მისსა და საბჭოს მოქმედებას სასტიკ ყურადღებას ადევნებს მთავრობა; მაშასადამე, გაუგებარი ხდება, რათ იქნება საჭირო ქალაქის თავის არჩევნების მოსპობა და მისი დანიშვნის შემოღება?!

თეატრი

ქართული თეატრი. „სამშობლო," 4 ოქტომბერი. გუშინ წინდელ წარმოდგენას კარგა ბლომა ხალხი დაესწრო; როგორც სჩანს „სამშობლო" კიდევ მოქმედებს საზოგადოებაზე. მაგრამ უფრო სრულის შთაბეჭდილებისათვის საჭირო იყო, რომ ეს პიესა, რომელმაც ცოტა არ იყოს თავი მოაბეზრა ქართველ საზოგადოებას, უკეთესად ყოფილიყო მოწყობილი წარმოდგენისათვის. 4 ოქტომბრის წარმოდგენა კი პატრიოტულად განწყობილ ბალღებს თუ მოიყვანდა ალტაცებაში. უფრო მომწიფებულმა მაყურებელმა კი არ იცის რა იფიქროს, როცა ჰხედავს სცენაზე კარიკატურულ შაჰს, რომელსაც ისტორია დიდებულ მეფედ იცნობს. მაშინაც კი, როცა ამ როლს ბ. აბაშიძე ასრულებდა, ქართულ სცენის შაჰი უფრო კომიკურ შთაბეჭდილებას ახდენდა, ვიდრე დრამატიულს. საზოგადოთ ირანი ვერ იცნობდა თავის-თავს გუშინ-წინდელ მხედრებში, სარდლებში და შაჰში...

ქართველები კი კეთილ-შობილნი და ქვეყნისათვის თავ-განწირულნი გმირები იყვნენ—მხოლოდ გუშინ-წინ ყველა ამისაგან არა გამოვიდა-რა: შეთქმულებას არ მოჰყვა სასურველი შედეგი.

ამისი ბრალი ედება ქ-ნ კარგარეთელს; პატივცემულ აქტრისას ეჭირვება მეტი ტემპერამენტი; რაც აკლია, შეუძლია დაესესხოს თუნდ ბ. სვიმონიძეს, რომელიც კარგს იზამს, თუ გადაჭარბებულ პაფოსს მოუკლებს.

სავსებით კეთილ-შობილი და პლასტიური იყო ბ. გამყრელიძის თამაში; საყვედური არ ეთქმის დანარჩენ პარტნიორებსაც.

სამაგიეროდ სასაყვედურონი არიან ისინი, ვინც სპარსულ მებუკეებს (ბუკი—ღოროტოტო) ევროპიული ქუდები დახურეს და ვინც მანეკენების მზგავსი, იაროსლავის ტიპის ბოზრი ირანელები გამოუშვა სცენაზე.

გარდა ამისა, ერთობ ძნელი დასაჯერებელია, რომ თვით საქართველოშიაც გაებედნათ ერთ მუჭა შეთქმულებს ასეთის საქმის დაწყება.

ერთის სიტყვით, მამულიშვილურ განზრახვის სიდიადეს არ შეეფერებოდა პიესის მოწყობილობა—და მაყურებელ საზოგადოებას აღელვებდა მხოლოდ სამგლოვიარო გალობა და საწამებლად მიმავალთა პროცესსია, თუმცა აქაც სპარსული ჯალათი თავის უცნაურ ნაჯახით, რომელიც მას ჯარის კაცსავით „На караулъ" ეკავა, ოპერეტის გმირს ჰგავდა და საზოგადოებას აცინებდა.

შემთხვევითი რეცენზენტი.

კავკასიის გამოფენა

VIII

მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა

ამ განყოფილებაზედაც ვერ ვიტყვით, რომ აქ ჩვენი ქვეყნის მცხოვრებთა მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის მრეწველობა საკმაოდ სავსებით იყოს წარმოდგენილი, მაგრამ რაც არის, ისიც საყურადღებოა მნახველისათვის, მხოლოდ ის კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველები ცოტა გამოცხადებულან თავის ნაწარმოებით ეხლანდელს გამოფენაზე. მეფუტკრეობა, მართალია, ჩვენ ხალხში ჯერ არაა იმდენად გავრცელებული, რომ მრეწველობას შეადგენდეს, მაგრამ მეაბრეშუმეობამ ხომ მაგრად მოიდგა ფეხი და ეს მრეწველობა რომ გამოფენაზე წარმოდგენილის ექსპონატებით ავწონ-დავწონოთ, იჭვს გარეშე უნდა ვსთქვათ, რომ ეს დარგი მრეწველობისა ძალიან ღარიბად უნდა ვიცნოთ ქართველებში. რაც შეეხება სტატისტიკურ ცნობებს ამ მრეწველობის შესახებ, თუნდა ამის აღწერილობას, მნახველი ნუ დაეძებს გამოფენაზე, ტყუილი შრომა გამოუვა. ამიტომ ისევ ის იკმაროს, რაც არის—შეუდგეს ექსპონატების დათვალიერებას.

შუა-გული განყოფილებისა აბრეშუმეულობის ნაწარმოებითაა დაჭერილი, გარშემო, კედლების მიყოლებით, მთელი განყოფილება მეფუტკრეობის ნაწარმოებს დაუჭერია.

აბრეშუმეულობა უფრო წვრილმან ექსპონატებათაა წარმოდგენილი. ძნელად რომ ნახოთ სავსება ამ ნაწარმოებისა: აბრეშუმის პეპელი, თესლი, მერე ჭია, პარკი, აქედან გაკეთებული ძაფი სხვა-და-სხვა ხარისხისა, მერე ამის ქსოვილები, იარაღები წარმოებისა და საჭირო ცნობები ამ უკანასკნელისა. წვრილ-წვრილად კი ნახავთ ერთსაც, მეორესაც და სხვასაც, მაგრამ სხვა-და-სხვა ექსპონენტისას. უფრო მეტი წარმომადგენელია ერევნისა, განჯისა და ბაქოს გუბერნიებიდან; ამათი ნაწარმოებიც კარგის ხელობისაა.

ქართველებში საყურადღებოა გურიის ამხანაგობის „შუამავალი"-ს ექსპონატები: შირმაზე ლამაზად გაკრული აბრეშუმის პარკი და იქვე სხვა-და-სხვა ქსოვილი აბრეშუმისა.

ლონგინოზ მასხარაშვილს რაჭიდან პარკი წარმოუდგენია.

მარიამ გოგოლაშვილის ასულს ორი მოსახურავი წარმოუდგენია აბრეშუმის წმინდა ძაფით ბადურად ნაქსოვი.

ხარიტონ წულესკირს ზუგდიდიდან—აგრეთვე პარკი.

მეფუტკრეობის ნაწარმოები ქართველთაგან საყურადღებოა ბ-ნის კოტე ონიკაშვილისა, რომელსაც საფუტკრე კოჯრის ახლოს აქვს გამართული, სოფ. კიკეთში, საკუთარს მამულში. აქ არის მშვენიერი გადამდნარი თაფლი, უცეცხლო თაფლი, სანთელი და სხვ. საყურადღებოა, რომ ბ-ნ ონიკაშვილს ჰურჭლად ჭიქა უხმარია, ასე რომ თაფლს დაჰხარჯავთ და ჭიქა ოჯახში სახმარებლად დაგრჩებათ, მაშინ, როდესაც სხვა-და-სხვა ყუფი, თუ კოლოფი ხშირად უნდა გადააგდო კიდეც, რაგან არაფრად გამოსაყენებელი არ არის.

კნ. მაყაშვილისას და კნ. ვაჩნაძისას (დედოფლის-წყაროდან) წარმოდგენილი აქვთ აგრეთვე თაფლი და თაფლის ნაწარმოები.

საყურადღებოა ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის ექსპონატები და ძველი-სენაკის სააზნაურო სკოლისა, რომელსაც თაფლის და ამის ნაწარმოების გარდა წარმოუდგენია აგრეთვე ისეთი საშუალებანი, რომელნიც ფუტკრის ნაკბენის მოსარჩენად იხმარება.

ზემო-აღნიშნულ გუბერნიების მცხოვრებთა გარდა წარმოდგენილია ექსპონატები წინა-კავსასიის გუბერნიებისა და ოლქების მხრიდანაც. საზოგადოდ ბევრია ამათში საყურადღებო ექსპონატები, რომელსაც სიამოვნებით აღვნიშნავდით, მაგრამ უადგილობა გაზეთში ხელს გვიშლის. —მე.

**

გუშინ, 5 ოქტომბერს, დაიწყო ფრინველების გამოფენა. წარმოდგენილ ექსპონატებიდან ყურადღებას იქცევს ფრინველების მომშენებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების მიერ წარმოდგენილი გაუმჯობესებულ ჯიშის შინაური ფრინველები. საყურადღებო აქ ის არის, რომ ფრინველები გლეხებისაა. ტფილისიდან კაპიტან ციტოხცევს გამოუფენია ნაგასაკის და შანჰაის ჯიშის ფრინველები და ტულუზის ბატი. წარმოდგენილია რამდენიმე მგალობელი ფრინველი.

**

გუშინ დაიწყო ღორების გამოფენა. კავკავიდან ვიღაც კაითმაზოვმა წარმოადგინა ბაკშტეინის ჯიშის წყვილი ღორი. ღორები მეტად მსუქნებია და იწონიან 40 ფუთზე მეტს. ღორებს თან მოჰყვა ექვსი გოჭი. თითო გოჭი ღირს—15 მან., ერთი ღორი—150 და მეორე 100.

**

დღეს გამოფენის სამიწად-მოქმედო განყოფილებაში დაიწყება ამ განყოფილების ექსპონატების ექსპერტიზა.

**

თანახმად კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებისა, შუშიდან ტფილისში ჩამოვიდა რეალურ სასწავლებლის 46 მოსწავლე გამოფენის დასათვალიერებლად. დარჩებიან აქ სამ დღეს.

**

გუშინ-წინ გამოფენაზე ყოფილა სულ 658 კაცი ამათგან უფასო—21.

**

480
132
812

გუშინ უნდა გამოეცადათ ლისტის ცეცხლის მქრობელი მანქანა, მაგრამ გამოცდა ცუდის ამინდის გამო არ შესდგა.

პროვინცია

ს. ხარაგაული (შორაპნის მაზრა). აქ 22 სექტემბერს საღამოს მატარებლით მობრძანდა მისი ყოვლად უსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი. მეორე დღეს, კვირას, მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ აკურთხა ხარაგაულის სამრევლო-საეკლესიო ორკლასიანი სასწავლებლის ეკკლესია. ახლად ნაკურთხს ეკკლესიაში ყოვლად სამღვდელო ლეონიდმა გადაიხადა წირვა, იქადაგა სწავლა-განათლების შესახებ ჩვენს მიყრუებულსა და ჯერ ბურუსით მოფენილ ქვეყანაში.

როგორც ნამდვილ წყაროებიდან შევიტყეთ, ხარაგაულში უნდა დაგვიარსდეს სამოქალაქო ექვს კლასიანი სასწავლებელი; ამის შესახებ ადგილობრივმა ბოქაულმა 1 ოქტომბერს შეკრიბა ერობა. ამ საქმეს მთელი საზოგადოება დიდის თანაგრძნობით შეეგება, რადგანაც ყველასათვის თვალსაჩინოა როგორც სულიერი, ისე ნივთიერი სარგებლობა. საზოგადოებამ უნდა აგოს მხოლოდ სასწავლებლის შენობა და დანარჩენი კი ხაზინამ უნდა იკისროს. ზოგმა პირებმა ერობაზე გამოაცხადეს სურვილი საზოგადოების დახმარებისა სახელდობრ: ქუჩა დეკანოსიძე სწირავს 600 მან., იოსებ ტაბაძე 200 მან., მელიქო კოგნაძე ფულად 200 მ. და ქვის მასალას, რაც საჭირო იქნება სასწავლებლის შენობისათვის. მცხოვრებლებმა უკვე დაადგინეს განაჩენი და ადგილობრივმა ბოქაულმა კიდეც გაგზავნა, სადაც ჯერ არს.

წელს აქ დაგვიარსდა პირველ-დაწყებითი ერთკლასიანი სამონასტრო ქალების სკოლა. სწავლა დაიწყო წარსული ენკენისთვის 20-ში. მოწაფეთა რიცხვი ჯერ-ჯერობით 70-ზე მეტია. მასწავლებლად დანიშნულია ქ-ნი ჟღენტი. ეს სკოლა მოთავსებულია ბ-ნი ალექსი მანჯავიძის სახლში, რომელიც მან დაუთმო. წიგნთ-საცავ-სამკითხველოს რაც შეეხება, ეს უსაჭიროესი საგანი ხარაგაულში ჯერ-ჯერობით არ ჰსუფევს, თუმცა წესდება თხოვნასთან ერთად გაგზავნილია, სადაც ჯერ არს.

ზ. არჯევანიძე.

ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი ანგარიში: «ანგარიში საქველ-მოქმედო სეირნობისა, რომელიც გამართული იყო 26 აგვისტოს 1901 წელს, კავკავის ქალაქის ბაღში, კავკავის ქართული სკოლის სასარგებლოდ. შემოსავალი ბილეთების გაყიდვისაგან 539 მ., 5 კ., ბუფეტისაგან 336 მ. 98 კ., ბაზარისგან 329 მ. 95 კ., შემოწირულება ხელ-მოსაწერი ფურცლებით სხვა-და-სხვა პირთაგან 868 მ. 40 კ., სულ 2073 მ. 38 კ., გასავალი, (ბაღის მოწყობა, განათება, გასართობები, მარკები და სხვა ხარჯი) სულ 401 მ. 93 კ.; წმინდა შემოსავალი დარჩა სულ 1,671 მ. 45 კ. ხელ-მოსაწერი ფურცლებით შეკრიბეს გამოგვიგზავნეს და აგრეთვე პირადათ შემოსწირეს შემდეგმა პირებმა: ონ. ლ. მაგკულიძემ 156 მ., ბ. ი. ბოძიევმა 90 მ., ს. ს. ელიაძემ 50 მ., გრ. ი. ჩითაევმა 47 მ. 5 კ., გრ. მ. ბურდულმა 47 მ., ე. ნ. ყაზბეგმა 46 მ. 50 კ., პ. დ ჭეიშვილმა 57 მ. 50 კ., ი. დ. მაისურაძემ 33 მ. 55 კ., ნ. ა. ქუმსიევმა 32 მ. 80 კ., ი. ქოქაშვილმა 32 მ. 50 კ., მ. ტ. ალაშკილმა 31 მ. 75 კ., ი. მ. მესხმა 30 მ., ფ. გ. ახობაძემ 29 მ., კ. ი. ანდრეევმა 20 მ., ს. ნ. ქენქაძემ 19 მ. 35 კ., ა. პ. ბანდარენკოსამ 15 მ., ი. ზ. სხირტლაძემ 15 მ., ა. კ. გორსკიმ 15 მ., გ. ც. დუდუშაურმა 14 მ. 45 კ., ე. დ. ჩაჩიბაიასამ 13 მ. 80 კ., ბ ს. შალბაზოვისამ 13 მ. 75 კ., ნ. ი. ტრინმა 10 მ., ბ. გ. ნაუმოვისამ 7 მ., გ. მ. ბუდოევმა 7 მ., ლ. ლ. ჩუბინიძემ 5 მ. 77 კ., პ. ი. პაპოვმა 5 მ., ნ. ნ. ქოქოლოვისამ 5 მ. 10 კ.. დ. დ. შლენგოვსკიმ 5 მ., ე. ნ. ბუზილეცოვისამ 5 მ, გ. ბაჟვმა 5 მ., ს. ა. ანდრეევმა 5 მ., კ. ი. მაჭავარიანმა 5 მ., ზ. ბარისოვმა 4 მ. 50 კ., ნ. დ. ყაზბეგმა 3 მ. 50 კ., ე. ბ. მეტონიძემ 3 მ., ს. ფურცელაძისამ 2 მ. 50 კ., ა, მ. ბურდულმა 2 მ. ბ ფ. პაპოვისამ 1 მ., ს. ი. პისარევმა 1 მანეთი. ბაზრისა და ბუფეტისათვის საჭირო მასალა და ნივთები შეაგროვეს ხელ-მოსაწერი ფურცლებით, ბ. გ. ნაუმოვისამ, დ. ლ. ჩუბინაძემ, ი. დ. მაისურაძემ, ნ. ა. ქუმსიევმა, ნ. დ. ყაზბეგმა, ა. ს. გუბნელოვისამ, ი. კოკოშვილმა, ზ. გ. ბარისოვმა, გრ. ბურდულმა, კ. ი. ანდრეევმა, ნ. ი. ტრინმა, ს. ფურცელაძისამ, ნ. ი. ფხაკაძემ, გ. ბურდულმა, პ. ომიაძემ. სეირნობის გამართვაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ქ-ნებმა: მ. ფ. ფროლკოვისამ, ს. დ. კალანდარიშვილისამ, ვ. ფ. პაპოვისამ, კნეინა ე. ი. ხიმშიევისამ, კ. ვ. კახიძისამ, ე. დ. ჩაჩიბაიასამ. შ. გ. თაყაიშვილისამ, ვ. ი. ბოძიევისამ, ნ. ი. ქოქოლოვისამ, ე. ზ. სტოიგატისამ, ა. ი. კოლიევისამ, ე. დ. მოზდოკელოვისამ და ბ-ნებმა ი. ი. კონჭუხიძემ, ნ. დ. ყაზბეგმა, ი. დ. მაისურაძემ, გრ. მ. ბურდულმა, ზ. ლ. კიკნაძემ, ზ. გ. ბარისოვმა, გ. ბურდულმა, გ. ჩითაშვილმა, იაკ. ფიცხელაურმა, მ. ო. კვიჟინაძემ, ვ. ა. კუმსიევმა, ი. ს. მესხიევმა, ი. ხიმშიევმა, ვ. ნ. ზირაქოვმა, თ-ვ. გ. ამილახვარმა, (რომელმაც გამოგზავნა ქართლ-კახური ხორო), პართენ ომიაძემ და თ. გიორგობიანმა (რომელთაც მოიყვანეს რაჭველების ხორო) და სხვ. ყველა ზემოხსენებულ პირთ, რომელთაც სეირნობის გამართვას ხელი შეუწყვეს შემოწირულობით თუ პირადის შრომით, აგრეთვე იმათაც, ვინც ხელ-მოსაწერ ფურცლებში არიან მოხსენებულნი, როგორც შემომწირველნი ფულით, ნივთებით და სანოვაგით და რომელთა გვარებს და შემოწირულობის რაოდენობას ვერ ვბეჭდავთ უადგილობისა გამო, სკოლის გამგეობა უცხადებს უგულითადეს მადლობას.

კავკავის ქართული სკოლის გამგე და სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარე პართენ

ალ. გოთუა.

საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

5 ოქტომბერი

პეტერბურგი. სტატსკი სოვეტნიკი გორდეევი პლოცკის გუბერნატორად დაინიშნა.

გენერალ-ლეიტენანტი ფონ-ვალი დაინიშნა ვილნოს გუბერნატორად.

ტამბოვი. აქ მოვიდა იმპერატრიცა მარიამის უწყებათა მთავარ-მმართველი გრაფი პროტოსოვ-ბახმეტიევი.

ლონდონი. დევენპორტიდან დეპეშით იუწყებიან, რომ ჯავშნიან გემ «მაგნიფიცენტ“ ზე, რომელიც ლამანშის ესკადრის მეორე უფროსს ექვემდებარება, გემზე მოსამსახურეთა შორის უკმაყოფილება მოხდა; ამათგან ერთმა ნაწილმა დამალა ზოგიერთი იარაღები, რათა ამით გამოამჟღავნოს ზოგიერთნი ბოროტ-მომქმედებანი.

დებნიჩენი. როცა არჩევნების ხელმძღვანელმა კომისარმა გამოაცხადა, რომ ლიბერალურ დასის დეპუტატად დობეცკია არჩეულიო, კოშუტის მიმდევრებმა მხედრობასა და პოლიციელებს ქვები დაუშინეს. მხედრობამ იარაღი იხმარა. 60—80-დე ხალხთაგან, სამი ოფიცერი და მრავალი ჯარის კაცი დაჭრილია. სასამართლოს სადგომისა და აგრეთვე სხვა სადგომების ფანჯრები ჩაამტვრიეს. მრავალი კაცი დააპატიმრეს. არეულობა არ მოსპობილა.

რედაქტორი **ალ. ჭყონია.**
გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 2 ოქტომბერს

ვექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,80
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,40
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	37,55
ბირჟის დისკონტი	5½—7%
4% სახელმწიფო რენტა	96 მყიდვ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	100⅛ გაყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	—
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	449 „
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	338 „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	246 მყიდვ.
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	90 გაყიდ.
4½% გირავნობ: ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—
5 % გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) ტფილისიდან ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი გადის დილის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) საფოსტო—გადის საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავრო-გადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); საფოსტო—გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღამ. 8 ს. 18 წ. 9) ს. და 16 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ- 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბ) ქუთაისიდან ტფილისამდე: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუადღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან ტფილისამდე: 1) სწრაფი მატარ. გადის საღამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. 43 წ.); 2) საფოსტო მატარ. ბაქომდე გადის საღამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო მატარ. ბაქომდე გადის დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

განცხადებანი

ახალი წიგნი

სამეგრელოს აღწერა

არქანჯელო ლამბერტისა

იტალიურით ნათარგმნი

ალექსანდრე ჭყონიასი

(სამეგრელოს რუკით)

ფასი 1 მანეთი

დაბეჭდილია მცირეოდენი ცალი და იყიდება მხოლოდ: ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში და ქართველთა ამხანაგობის კიოსკში და ქუთაისში—ჰილაძის და ბეჟინეიშვილის მაღაზიებში.

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება თარგმანები

ივ. მაჭავარიანისა:

გლეხი-კაცის ისტორია (ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა) 4 ნაწილად. . . ფასი 2 40
ბრძყალები, დრამა 3 მოქ. „ — 30
იუდითი, დრამა 5 მოქმედ. „ — 30
ტარტიუფი, ანუ მუზმუზელა, კომედია 5 მოქმედ. „ — 50

თხზულებანი

თ. რ. ერისთავისა

I ტომი

ფასი სამი აბაზი.

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში, ლორის მელიქოვის ქუჩ., ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.**

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში /მიიღებენ ყოველ გვარ

საკერავს:

კაბებს, წამოსასხამებს, საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს (მეტკებს).

ბარონის ქუჩა, № 12 (10—5)

ნახშირის საწყობი

იაგორ მამინაიშვილისა

ვერის მოედანზე, ყაფანთან.

ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**

შინ მიტანით 1 **ფუთი 40 კაპ.**

ტელეფონი № 754. (0—14)

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

ტელეფონი № 741.

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ-გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

განყოფილება

სასახლის ქუჩაზე, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

განყოფილებას განაგებს ილ. გ. ჩუბინაშვილი.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову. (100—49)

ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, „Фармацевтика“

დაიბეჭდა და იყიდება **წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში:** შ. არაგვისპირელის **პირველი წიგნი**, ფასი ათი შაური. ისტორიული რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან ივ. ვაზოვისა **„დამონებულნი“**, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, გამოცემა სპ. ნარაკიძისა, ფასი ერთი მანეთი. პროვინციაში მცხოვრებთ ეს წიგნები შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ: **Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество** გადასაგზავნი ხარჯი არ გარდახდებათ მათ, ვინც ზემოხსენებულ ადრესით დაიბარებს და წიგნების ღირებულ ფასს (მანეთ ნახევარს) პირველადვე გამოგზავნის. ფასად ფოსტის მარკებიც შეიძლება გამოგზავნონ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Октября 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა